საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ 2022 წლის საჯარო ინფორმაციის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) 2022 წლის ანგარიშს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის თაობაზე.

1. მიმდინარე წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 243 ფაქტი.

2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებულია 243 გადაწყვეტილება.

3. საჯარო მონაცემთა ბაზების, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემისათვის სააგენტო იყენებს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 35^1 მუხლის შესაბამისად საქმისწარმოების ერთიან ავტომატურ სისტემას.

4. საჯარო მომსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის შესაბამისად პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები სააგენტოში მიმდინარე წელს არ დაფიქსირებულა.

5. ვინაიდან მიმდინარე წელს სააგენტოში არ ფიქსირდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის არცერთი ფაქტი, შესაბამისად მიმდინარე წელს არც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულა გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ჰქონია ადგილი. ამასთანავე, სააგენტოს არ გაუწევია გადაწვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული არავითარი ხარჯები, მათ შორის, არ გადაუხდია თანხები მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

პატივისცემით,
მიხეილ ხიდურელი
(დირექტორი)